სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/69

ქ. თბილისი 22 დეკემბერი 2023

სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2023 წლის ნაერთ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2023 წლის 21 დეკემბრის №0001750580 წერილის, და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 22 დეკემბრის №01-06-02/11 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2023 წლის ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები (იხ. დანართი), კერძოდ:

- **სამშენებლო ფაკულტეტის (კოდი 01 02 01)** ასიგნება შემცირდეს 391 374 ლარით და ნაცვლად დამტკიცებული 3 253 625 ლარისა, განისაზღვროს 2 862 251 ლარით;
- **ენერგეტიკის ფაკულტეტის(კოდი 01 02 02)** ასიგნება შემცირდეს 29 344 ლარით და ნაცვლად დამტკიცებული 1 938 100 ლარისა, განისაზღვროს 1 908 846 ლარით;
- **სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის (კოდი 01 02 03)** ასიგნება შემცირდეს 58 920 ლარით და ნაცვლად დამტკიცებული 2 060 875 ლარისა, განისაზღვროს 2 001 955 ლარით;
- **ქიმიური ტექნოლოგიების და მეტალურგიის ფაკულტეტის (კოდი 01 02 04)** ასიგნება შემცირდეს 119 185 ლარით და ნაცვლად დამტკიცებული 2 330 330 ლარისა, განისაზღვროს 2 211 145 ლარით;
- **სატრანსპორტო და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის (კოდი 01 02 05)** ასიგნება შემცირდეს 190 970 ლარით და ნაცვლად დამტკიცებული 2 289 990 ლარისა, განისაზღვროს 2 099 020 ლარით;
- **არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის (კოდი 01 02 06)** ასიგნება შემცირდეს 114 541 ლარით და ნაცვლად დამტკიცებული 1 749 365 ლარისა, განისაზღვროს 1 634 824 ლარით;

- **სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის (კოდი 01 02 07)** ასიგნება შემცირდეს 301 810 ლარით და ნაცვლად დამტკიცებული 2 669 280 ლარისა, განისაზღვროს 2 367 470 ლარით ;
- **ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის (კოდი 01 02 08)** ასიგნება შემცირდეს 56 602 ლარით და ნაცვლად დამტკიცებული 6 032 865 ლარისა, განისაზღვროს 5 976 263 ლარით;
- **დიზაინის საერთაშორისო სკოლის(კოდი 01 02 09)** ასიგნება შემცირდეს 8 810 ლარით და ნაცვლად დამტკიცებული 595 420 ლარისა, განისაზღვროს 586 610 ლარით;
- **აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის (კოდი 01 02 10)** ასიგნება შემცირდეს 262 929 ლარით და ნაცვლად დამტკიცებული 2 115 260 ლარისა, განისაზღვროს 1 852 331 ლარით;
- **ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის (კოდი 01 02 11)** ასიგნება შემცირდეს 83 670 ლარით და ნაცვლად დამტკიცებული 2 196 330 ლარისა, განისაზღვროს 2 112 660 ლარით;
- **საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის(კოდი 01 02 12)** ასიგნება გაიზარდოს 151 895 ლარით და ნაცვლად დამტკიცებული 2 947 950 ლარისა, განისაზღვროს 3 099 845 ლარით;
- **მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის (კოდი 01 02 14)** ასიგნება უცვლელია და შეადგენს 214 320 ლარს.
- **მედიცინის ფაკულტეტის (კოდი 01 02 15)** ასიგნება გაიზარდოს 7 665 ლარით და ნაცვლად დამტკიცებული 90 135 ლარისა, განისაზღვროს 97 800 ლარით.

ფაკულტეტების ხარჯთაღრიცხვები შემცირდეს 1 458 595 ლარით და გამოთავისუფლებული თანხიდან 331 000 ლარი მიმართულ იქნეს:

- „სტუდენტთა ხელშეწყობა“ - 35 000 ლარი;
- „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ - 261 000 ლარი;
- „კულტურა და სპორტი“ - 35 000 ლარი;

სხვაობით შემცირდეს საშემოსავლო ნაწილის გრაფა „სწავლის საფასური სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების გათვალისწინებით'' და ნაცვლად განსაზღვრული 45 841 180 ლარისა, განისაზღვროს 44 713 885 ლარით.

- პროგრამის „უმაღლესი განათლება“ (პროგრამული კოდი 01 02) ქვეპროგრამა „სან-დიეგოს უნივერსიტეტისა და „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა" დაფინანსებული პროექტები“ (კოდი 01 02 15) გაიზარდოს 25 875 ლარით და ნაცლად გათვალისწინებული 100 480 ლარისა, განისაზღვროს 126 355 ლარით, ხოლო გადასახდელები, ნაცვლად გათვალისწინებული 22 711 ლარისა, განისაზღვროს 48 586 ლარით.

პროგრამაში განხორციელებული შემცირებული და გაზრდილი მაჩვენებლების გათვალისწინებით, პროგრამის „უმაღლესი განათლება“ (ფაკულტეტები-პროგრამული კოდი 01 02) ხარჯთაღრიცხვები შემცირდეს 1 432 720 ლარით და ნაცვლად გათვალისწინებული 30 506 646 ლარისა, განისაზღვროს 29 073 926 ლარით.

ფაკულტეტების ბიუჯეტებში განხორციელდეს ცვლილებები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ:

- „შრომის ანაზღაურების“ მუხლი შემცირდეს 1 984 195 ლარით და ნაცვლად გათვალისწინებული 25 668 550 ლარისა, განისაზღვროს 23 684 355 ლარით;
- „საქონელი და მომსახურების“ მუხლი გაიზარდოს 826 949 ლარით და ნაცვლად გათვალისწინებული 3 320 141 ლარისა, განისაზღვროს 4 147 090 ლარით;
- „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი გაიზარდოს 3 494 ლარით;
- „სხვა ხარჯების“ მუხლი შემცირდეს 8 860 ლარით და ნაცვლად გათვალისწინებული 1 033 610 ლარისა, განისაზღვროს 1 024 750 ლარით;
- „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი შემცირდეს 270 108 ლარით და ნაცვლად გათვალისწინებული 484 345 ლარისა, განისაზღვროს 214 237 ლარით.
- ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების „კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების“ სტრიქონი გაიზარდოს 575 000 ლარით და ნაცვლად გათვალისწინებული 4 736 863 ლარისა, განისაზღვროს 5 311 863 ლარით. აღნიშნული თანხა გადასახდელებში მიმართულ იქნეს პროგრამის „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ (01 04) ქვეპროგრამაში „დამხმარე სამეცნიერო ერთეულები“ (კოდი 01 04 03), კერძოდ, „თვითდაფინანსებაზე მყოფი სამეცნიერო ცენტრები“ (01 04 03 03) ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებში.

ფაკულტეტებიდან გამოთავისუფლებული თანხებიდან 261 000 ლარი მიმართულ იქნეს პროგრამის „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ (კოდი 01 04) ქვეპროგრამაში „დამხმარე სამეცნიერო ერთეულები“ (კოდი 01 04 03), კერძოდ: „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 01 04 04) ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებში, საიდანაც 171 000 ლარი ცერნში CMS ექსპერიმენტის გრანულარული კალორიმეტრის პროექტში - დეტექტორის შესაქმნელად.

- პროგრამა „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ (01 04) გაიზარდოს 836 000 ლარით და ნაცვლად გათვალისწინებული 13 817 952 ლარისა, განისაზღვროს 14 653 952 ლარით;
- პროგრამა „სტუდენტთა ხელშეწყობა“ (კოდი 01 03) გაიზარდოს 48 764 ლარით და ნაცვლად გათვალისწინებული 1 841 091 ლარისა, განისაზღვროს 1 889 855 ლარით.
- პროგრამა „კულტურისა და სპორტის“ ხელშეწყობა გაიზარდოს 35 000 ლარით და ნაცვლად გათვალისწინებული 433 320 ლარისა, განისაზღვროს 468 320 ლარით.
- პროგრამა „ინფრასტრუქტურის განვითარება'' გაიზარდოს 4 656 ლარით და ნაცვლად გათვალისწინებული 5 480 325 ლარისა, განისაზღვროს 5 484 981 ლარით.

ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები, განხორციელებული ყველა ცვლილების გათვალისწინებით, შემცირდეს 508 300 ლარით და შემოსულობები ნაცვლად გათვალისწინებული 68 685 679 ლარისა განისაზღვროს 68 177 379 ლარით, ხოლო გადასახდელები, ნაცვლად გათვალისწინებული 68 785 679 ლარისა, განისაზღვროს 68 277 379 ლარით.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი **დავით ჯაფარიძე**